ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 120

29 მარტი
"___"_____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-----53-15674 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე და ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-----53-15674 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 მარტის №24.382.434 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ამ განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, შპს „ალიანს ლისის" (ს/ნ: 405264002) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 134 895 (ას ოცდათოთხმეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის გადახდის პირობით, შევიდეს ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-----53-15674 ხელშეკრულებით განკარგულ 3282 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (N01.10.18.011.043) ზემოაღნიშნული ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ პირობაში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი

განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე